საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №9
2024 წლის 4 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/02/2018, 040030000.22.034.016716) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. **მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის**:

ა) **„ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) ადმინისტრაცია (დეპარტამენტი):

ა.ა) შიდა უსაფრთხოების და ოპერატიული სანომრე ნიშნების სამმართველო:

ა.ა.ა) შიდა უსაფრთხოების სამსახური:

ა.ა.ა.ა) I ჯგუფი;

ა.ა.ა.ბ) II ჯგუფი;

ა.ა.ბ) ოპერატიული სანომრე ნიშნების აღრიცხვის სამსახური;

ა.ბ) საქმისწარმოების სამსახური;

ა.გ) მონაცემთა დამუშავების ჯგუფი;“;

ბ) **„ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^{1}“ ქვეპუნქტი**:

„ზ^{1}) მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო:

ზ^{1}.ა) სატელეფონო კონსულტაციის სამსახური;

ზ^{1}.ბ) საინფორმაციო სამსახური.“.

2. **მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი 6. ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ფუნქციები**

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ფუნქციებია:

ა) სააგენტოს მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე სამინისტროში არსებული ინფორმაციის დამუშავება;

ბ) დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში დღე-ღამის განმავლობაში სააგენტოს საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

გ) დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიული დანიშნულების სახელმწიფო სანომრე ნიშნების აღრიცხვა და გაცემა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქმისწარმოების ორგანიზება, შემოსული საიდუმლო (საიდუმლო დოკუმენტაციის საკანცელარიო ჟურნალში აღრიცხვა) და არასაიდუმლო დოკუმენტაციის მიღება და აღრიცხვა;

ვ) დოკუმენტების დადგენილი წესით დაარქივება;

ზ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.“.

3. 12^2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^3 მუხლი:

„მუხლი 12^3. მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ფუნქციები

მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სააგენტოს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და აღსრულება;

ბ) სააგენტოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მართვა;

გ) სააგენტოს საქმიანობისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;

დ) სამინისტროს შესაბამის დანაყოფთან კოორდინაციით საპროტოკოლო ღონისძიებების დაგეგმვა და უზრუნველყოფა;

ე) სააგენტოს ცნობადობის ამაღლებისათვის მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

ვ) ცხელი ხაზის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;

თ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**